L-94

ოქტომბერი

11

1929

ეროვნული ბიბლიოთეკა

1929 ნ'ოქ'ემბერი

საქართველოს მ. ჯ. ო. ცენტრალური და ცალკ. მიუ-
რეომის და განს. სახ. კომისარ. სოც. აღზ. მთავარმარ-
თველობის ჟურნალი მცირეწლოვან მკითხველთა

წელიწადი II
№ 11

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ოქტომბრული, — ლექსი ალიო მაშაშვილის. 1
2. ეს მოხდა მაშინ, — მ. კეჩხუაშვილის 2
3. ჩვენი ოქტომბერი, — მ-რის 6
4. ვინ აწყენინა ჯიმს (აზრი აღებულია) — მარიკა მიქელაძის. . 7
5 გაკვირვება, — ლექსი შალვა შაველაშვილის. 13
6. თორმეტი წელი, — ვალიკოსი 14
7. სრულიად საკავშირო პიონერთა შეკრება. 16
8. ძია გიგოს მასწავლებელი, — ლექსი ალ. ბილანიშვილის. . 18
9. ბნელი ძალები, — თარგ. თ. ა-სი. 20
10. ჩვენი მშენებლობა. 22
11. ლაპარაკობს, ლაპარაკობს, — თარგ. ნ. ბ-ის 25
12. სად არის ჩემი დათუნია, — გადმოღებული 30
13. მოშლილი ოინკანი, — ლექსი ალ-მის 32
14. უხეირო მდგმურები, — გარეკანზე. . . . . .
15. გასართობი: ნიშანში სროლა — გარეკანზე . . . . . .

„ნიშანში სროლა“

(თამაშობა)

შეიძლება ითამაშოს 2, 3, 4 კაცმა. თამაში იწყება კუთხიდან. მოთამაშე აიღებს თავისთვის ისარს ან ტყვიას.

მოთამაშეები კენჭს ჰყრიან და ვისაც ერგება, პირველად ატრიალებს ბზრიალას, შემდეგ კი ყველა რიგ-რიგობით ატრიალებს. თუ ბზრიალა ციფრიანი მხრით დაეცემა, მოთამაშე გადასწევს თავის კონს იმდენზე, რამდენსაც აჩვენებს ბზრიალა; თუ „ტყვია“ ან ისარი ვარსკვლავზე დაეცემა, მოთამაშემ უნდა გადასწიოს თავისი კონი ორი ნომრით წინ.

თუ „ისარი“ ან „ტყვია“ წრეზე დაეცა, ორი ნომრით უკან უნდა დაბრუნდეს.

(იხილე გარეკანის მე-4 გვერდზე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომგრული.

წინ გასწიეთ ერთად, ერთად,
სწორდით მხარდამხარ:
აგუგუნდეს ოქტომბრელთა
ნაბიჯების ხმა...
ოქტომბრელო,
მომავალის
მშენებელი ხარ!

კაცი როგორ დამუნჯდება
ამ დიდებულ დღეს!
უხარიან ხალხს, ქუჩებს და
სოფლად მინდორ-მთებს...
მზეც საბჭოთა
დედამიწას
სხივებს უხვად ჰფენს.

338.

თუ კი დღემდე გრიალებდა
ამ ცხოვრების ზღვა,
შენც გმირულად იარე და
სჯედე ჩვენი გზა...
პროლეტარულ
საქმისათვის
შენც იუავი მზად!

და რამდენიც გვემატება
ოქტომბერის დღე,
იმდენივე დღე აკლდება
დაუნდობელ მტერს...
მოგვაქვს გული
მოგუგუნე
და მკერდების კლდე!

მაშ, გავსწიოთ ერთად, ერთად,
სწორდით მხარდამხარ:
დე, ისმოდეს ოქტომბრელთა
ნაბიჯების ხმა...
ოქტომბრელო,
ახალ ეოფის
მოქალაქე ხარ!

ალიო მაშაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რათა, დედა, რათ ტირი? განა ამ თოფების გრიალისა გეშინია? — ეხვეოდა ჰატარა ჰეტკა დედას, რომელიც ტახზე ჩამომჯდარიყო და მალზე ტიროდა.

— ჩვენ რად უნდა ვიტიროთ, მამას თავისი ამხანაგებით ბევრი თოფ-იარაღი აქვს, და ისინი მუშებს დაამარცხებენ. დედა, მე მეხარია. მაშინ მიშკა, ჩვენს დაბლა სარდაფში რომ ცხოვრობს, მუშების ჯალათის შვილს აღარ დამიძახებს.

დედამ ვეღარ მოითმინა და შვილი გულში ჩაიკრა.

— ჩემო ჰატარა ბიჭიკო, განა მუშები არ გენანებიან? განა მიშკა, რომელიც მუშის შვილია, არ გეცოდება? ის ხომ სულ 14 წლისაა და ქარხანაში მუშაობს, მუშები ხომ იმას მოითხოვენ, რაც ეკუთვნისთ. ჩემო ბიჭიკო, მენ არც კი იცი, რომ მამაშენიც ერთ დროს მუშა იყო, ისიც სხვა ღარიბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უუფლებო მუშებთან ერთად იბრძოდა, ათასჯერ დაიჭირეს, აწამეს, სამსახურიდან დაითხოვეს... მან სხვა მუშებივით ვერ აიტანა და მეფის საზიზღარი მოხელე გახდა. გული მიკვდება, როცა ვხედავ, რომ სიმართლისათვის აჯანყებულ მუშებს ცხელი ტყვიით უმასპინძლდებიან ისევ ეოფილი მუშები, მაგრამ არა უშავს რა, გამარჯვება მათია, ვინც მართალია.

— ვინ არის, დედა, მართალი?

— მუშები. მე წავალ და მათთან ერთად ვიბრძოლებ.

ჰეტკას დედის უკანასკნელი სიტყვები არც კი გაუგონია, მან მსწრაფლად ჩაირბინა კიბეები და სარდაფის წინ შეჩერდა.

კარი ფრთხილად დააკაკუნა. სიჩუმე იყო, ფანჯრიდან შეიჭვრიტა. ოთახი ქაღალდებით იყო მოფენილი, ძონძები, რომელიც ალბათ ლოგინის მაგივრობას ასრულებდა, აწეწილი ეყარა.

— ესენიც წასულან, ალბათ მიშკაც მამასთან იბრძვის,—გაიფიქრა ჰეტკამ და, რაც ძალა ჰქონდა, მოკურცხლა...

ქუჩაში ბრძოლა იყო გაჩაღებული. მაზუთში ამოსვრილ გამხდარ სახეებზე გაჭირვებას და უუფლებობას ცეცხლის კოცონი გაეჩაღებინა. მუშები, მუშაქალები და მათი შიმშილობისაგან მუცელგასიებული ბავშვები ბარიკადებთან იბრძოდენ.

ჰეტკამ ჩაურბინა ბარიკადებს და ერთ წუთს შეჩერდა.

— ახ, ჰეტკა!—გადმოსძახა მიშკამ, რომელიც მუშებს ტყვიებს აწვდიდა,—წადი, მიეშველე მამაშენს, ისინი გვებრძვიან, მაგრამ გამარჯვება მათია, ვინც მართალია.

მირბოდა ჰეტკა ტყვიებ შორის და ჩურჩულებდა: „გამარჯვება მათია, ვინც მართალია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამაჩემო, მამა! — შესძახა ჰეტკამ მამას, რომელიც სულ რამდენიმე კაცით-ღა იბრძოდა: უმრავლესობა მუშების მხარეზე გადასულიყო.

— მამა, შენ ხომ იცი, გამარჯვება მათია, ვინც მართალია და მართალი ხომ მუშები არიან! შენ ხომ ერთ დროს მუშა იყავი და სამაგელმა მეფემ ძალათ თავისი მოხელე გაგხადა! წამო, მამა, წამო და იქიდან აქეთ ესროლე.. და ცოტა ხნის შემდეგ აღტაცებული ჰეტკა მიარბენინებდა ჯერ კიდევ გამოურკვეველ მამას...

— აქეთ, მიშკა, მოდი ხელი შეგიხვიო,—წასწვდა მოწუალების და მიშკას.

— დეიდა მარუსია, თქვენი ქმარი და შვილი ბარიკადელებს ებრძვიან. თქვენ აქ საიდან?

— მე მათ აქედან ვებრძვი.

— მერე ჰეტკა?

— ჰეტკა? არა უშავს რა, შენისთანა ბიჭები გამიწევენ ჰეტკას მაგივრობას.

— ისროლე, მამა, დახოცე მეფის სამაგელი მოხელეები, რომ ამით მაინც გამოისყიდო შენი დანაშაული. ისროლე, მამა, ისროლე! — გაჭეიოდა ჰეტკა და დაჭრილი ხელიდან უმანკო სისხლი თქრიალით გასდიოდა.

— ვაი, ფესი!—შეჰყვირა ჰეტკამ და ძირს დაეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადექი, ბიჭო, — და ვიღაცა მხრებში დასწვდა.

ჰეტკამ მიშკა იცნო.

— მიშკა, ნულარ დამიძახებ საძაგელი ჯალათის შვილს, აგერ მამა მოვიყვანე, — და მიახედა მამისაკენ, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა.

— მეც, ხომ მხედავ, დავიჭერი, — და ვაჟკაცურად გადაუშალა ჭრილობა. — დედა კი, რა ვქნა, ვერ მოვიყვანე, ის შინ ტირის!

— გაჭიმე ფეხი, ჩემო ჰატარა გმირო — და მარუსიამ დაჭრილ შვილს სიყვარულით შეხედა.

— დედაჩემო, დედა, შენც აქა ხარ? ცოტათი შემიხვიე, დედა, მე სიხარულისგან ტკივილს ვერა ვგრძნობ.

— მიშკა! — შესძახა ჰეტკამ, — ინვალიდებმა ტყვია ვუმარჯვოთ.

გამარჯვებული ხალხი ხელში იგდებდა სასახლეებს, ბანკებს და სახელმწიფო მრავალ ქონებას. დიად ბრძოლაში დაღუპულ გმირებს სამგლოვიარო ჰიმნი უმღერდა.

ეს მოხდა მაშინ, როცა ბარიკადებზე მრავალი მუშა თავდადებული დაეცა, ეს მოხდა მაშინ, როცა ჰეტკები და მიშკები გამოესალმენ უმანკო სიცოცხლეს, ეს მოხდა ბურუსიან ოქტობრის დღეს...

მ. კეჩხუაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ოქტომგერი

ზეიმია ოქტომბერის
და სიხარულს ჩვენაც ვცდილობთ-
გუშინ მოვრთეთ აივანი,
დარბაზი და სასადილო.
დღეს ავტოში ჩაგვსხეს ყველა
და გავემგზავრეთ ქუჩებს მზიანს,
უჰ, რამდენი საჩუქარი
მოგვიტანა ჩვენმა ძიამ!
გვიხარია სიმღერები
და დროშების შარიშური.
მერე სახლში რომ მივედით,
ჩვენს დიდ დარბაზს მივაშურეთ-
იქ ვუყურეთ წარმოდგენას
და ვიცინეთ ბევრი, ბევრი.
უფ! რამდენი სიხარული
ვნახეთ წითელ ოქტომბერით!..

მ — არ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიმი ჰატარა შავკაბიანი ბიჭია. ჰატარაა, მაგრამ აბა ერთი ნახეთ — მთელ ოჯახს ინახავს, დედას და ოთხ ჰატარა დაძმას: თომას, სამს, ტოპსის და როზას. ყველაზე დიდი თვითონაა, სულ კი თორმეტი წლისაა. ჯიმი ქარხანაში მუშაობს, ჯამაგირი აქვს კვირაში ორი დოლარი*). მამაც ამ ქარხანაში დაიღუპა, და ახლა ჯიმი მის მაგივრობას სწევს შინაც და გარეთაც.

ჯიმი ჩიკაგოში ცხოვრობს, უკეთ რომ ვთქვათ, ჩიკაგოს განაპირა უბანში. ეს ზანგების უბანია, თვითონ ქალაქი კი ჯიმს არასოდეს არ უნახავს, სულ კი ოცნებობს მასზე.

ჩიკაგო დიდი სამრეწველო ქალაქია, იქ ბევრია სიმდიდრე და სიხარული, მაგრამ ყველაფერი ეს ჯიმისთვის სომ არ არი, მას მხოლოდ ორი დოლარი აქვს კვირაში და რამდენი მჯამელი ჰყავს!

მაგრამ ერთ კვირა დღეს ჯიმს მოულოდნელი სიხარული ეწვია: მია ჯემსმა, მოხუცმა კეთილმა ზანგმა, მას ერთი დოლარი აჩუქა და უთხრა:

— წადი, ქალაქი დაათვალიერე და, რაც მოგეწონოს, იყიდე. მხოლოდ თეთრკანიანებს ერიდე, ძალიან უკადრისი და ამაყი ხალხია, შავკანიანები ეჯავრებათ.

*) დოლარი ფულია, ორ მანეთს უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, აი, ჯიმიც გაემგზავრა. ზანგების უბანს რომ გასცდა, თვალები გააცეცა: აქ, თეთრკანიანების უბანში, ყველაფერი უფრო მიმზიდველი ეჩვენებოდა: ფართო ქუჩები, კოხტა სახლები, აუარებელი მაღაზია და ამდენი თეთრ-ყირმიზა ქალი და კაცი ერთად!

მიდიოდა ჯიმი და მისი თვალები ფართოდ იცინოდა. მზიანი დღე იყო, ქუჩებში ხალხი გამოფენილიყო, ყველა მოღიმარი, მხიარული. შუა ქუჩაზე ავტომობილები დაქროდა. შიგ კარგად ჩაცმული, უდარდელი ხალხი იჯდა. ტრამკაის რონოდები წკარუნით მისრიალებდა ლიანდაგებზე და მზის სხივებზე მინებს ალაპლაპებდა.

ჯიმი ტრამვაის შესაჩერებელთან მივიდა. აჭა, მოსრიალდა რონოდა. ჯიმი ყველას შემდეგ ავიდა და უკანა ბაქანზე დადგა. გვერდით კოხტად გამოწყობილი თეთრკანიანი ქალი და ლამაზი, სუფთად ჩაცმული ახალგაზრდა უდგენ. ჯიმი აღტაცებით მიაშტერდა მათ.

— რა ლამაზია! — გაუელვა თავში.

თეთრმა ქალმა ამრეზით გადმოხედა მას, დაიმანჭა და განზე გაიწია.

— რობერტ, — მიმართა მან თანამგზავრს, —

ეს ზანგის ბიჭი აქ რა მოხელეა?

უმაწვილი მოიღრუბლა და კონდუქტორს მიუბრუნდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კეთილ ინებეთ და მოაწყვეთ ისე, რომ ეოველ წუთში სახ-
გებს არ ვეჩესებოდეთ!

კონდუქტორმა ამრული რონოდა შეაჩერებინა და ჯიმს დაუ-
ყვირა:

— შენ, ეი, არამზადავ, აქ
რას შემომვრალხარ? გადაეთრიე
ჩქარა!

— მე... მე... — ამოილუღ-
ლუღა ჯიმმა—მე ბილეთს ვიეიდი...

— ერთი ამას დამიხედეთ! —
გაცხარდა კონდუქტორი, — გადაეთ-
რიე მეთქი, თუ არ გინდა უბები
ამოგილესო.

ჯიმი ჩამოვიდა. წეენით გა-
ეოლა თვალი მოწკარუნე რონო-
დას, მერე ტუჩები მაგრად დაკუმა
და გადასწეეიტა:



— ქვეითად ვიავლი, მერე რა!

ქუჩის მოსახვევში ჯიმი დიდ ვიტრინასთან შესდგა. რა არ ელაგა იქ: კოხტად ჩაცმული დედოფალები, ფერად-ფერადი ბურთები, სათამაშო თოფები, ცხენები, სურათებიანი წიგნები.

— კარგია, რომ ეს ლამაზი წიგნი შევიძინო, — ვარაუდობს ჯიმი, — თუ ძვირი არ იქნება, თოფიც, თომას ვაჩუქებ.

მაღაზიაში ბევრი ხალხი ირევა. სულ თეთრკანიანებია. ჯიმი გაუბედავად მიუახლოვდა დახლს. უცებ ნოქარმა მოჰკრა მას თვალი.

— რა გინდა აქა, ჭა?! — დასჭყიოლა მან.

— ალბათ ქურდია, — სთქვა ვიღაც ჩასუქებულმა კაცმა.

— რა თქმა უნდა, — დაჰკრა ბეჭედი მეორემ.

ჯიმი გაჯავრდა.

— მე ქურდი არა ვარ, — სთქვა მან. — მინდა ვიყიდო.

— მინდა ვიყიდო! — გააჯავრა ნოქარმა. — შენმა თავის ტეხამ, თუ თეთრკანიანების მაღაზიაში არ იყიდე, ისე შინ არ მიიღებენ, არა?..

ხალხმა ხარხარი მორთო. დარცხვენილმა და თვალცრემლიანმა ჯიმმა კარს მიაშურა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთელი დღე ასე იხეტიალა ჯიმმა და ვერაფრით თავისი დოლარის დახარჯვა ვერ მოახერხა. სადაც კი მივიდოდა, ყველგან ასე ხვდებოდენ.

საღამოხანს ჯიმი კინოს კარებთან გაჩნდა. დიდხანს იდგა და სალსს ათვალიერებდა. აჭა, მოსრიალდა დახურული, შოკოლადისფერი ავტომობილი. შიგნიდან აბრეშუმებში გახვეული თეთრი ქალი და ევროპულად ჩაცმული ბეჭდებიანი კაცი გადმოვიდენ. ორივემ ზიზღით გადახედა ჯიმს და კარებში მიიმალენ. აი, მოდის ჯიმის ტოლა ორი გოგონა. ისინი ხმამაღლა ლაპარაკობენ და იცინიან. უცებ ჯიმის შორიახლო შესდგენ და ცნობისმოყვარეობით დაუწყეს თვალიერება.

— რა სასაცილო ბიჭია, არა, ფრიდა? — სთქვა ერთმა გოგომ.

— ზანგია, — განუმარტა ფრიდამ

— ვაი, ზანგი! — შეშინდა გოგონა, — ავაზაკი იქნება.

— რათა გგონია?

— როგორც თუ რათა, გუშინ მამამ სთქვა, ზანგები დასახრჩობი ავაზაკები არიანო.

— ტეუილია ეს, მოლი, — შეეკამათა ფრიდა — აი, მე ერთ მოხუც ზანგს ვიცნობ, ის ისეთი კეთილია, სულ ლერწმის სალამურებს მიკეთებს ხოლმე.

ჯიმმა, რომელიც კამათს ეურს უგდებდა, ზანგების მოსარჩლე ფრიდას გაულიმა. შავ სახეზე თეთრმა კბილებმა გაუელვა.

— ვაიმე, გვიკბენს! — იყვირა მოლიმ, სახელოს დასწია და გაიეოლა.

ჯიმს გული დასწყდა: რა დაუშავა?

სალსი კი სულ ირეოდა კინოსთან. წამდაუწუმ იღებოდა კარი და შემსვლელ-გამომსვლელს უშვებდა. როცა კარი გაიღებოდა, ჯიმი ფალასით დაფენილ კიბეს და მეკარის ლივრეას ხედავდა. მომსვლელები ყველანი თეთრკანიანები იყვნენ. ისინი თამამად აღებდენ კარს და შედიოდენ კინოში. ჯიმს კი ვერ გადაეწყვიტა. ბოლოს გაბედა და კარი მორიდებით შეაღო.

— საით? — დაუყვირა მეკარემ.

ჯიმმა იფიქრა, ალბათ ჭგონია ფული არა მაქვსო, და დილიდანვე მუჭში დაბღუჯული დოლარი უჩვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკარემ დაცინვით თავი მდაბლად მოუხარა:

— უკაცრავად კი ვარ, ახალგაზრდა ბატონო, მაგრამ ამ კინოში შემოსვლა შავკანიანებს აკრძალული აქვთ.— რადგან ჯიმი უძრავად იდგა, მან საუელოში ჩასწვდა ხელი და გარეთ გამოუძახა.

— —

როცა დაღონებული ჯიმი შინ დაბრუნდა და ძია ჯემსს ეკვლაფერი უამბო, ძმან ამოიოხრა და უთხრა:

— ჰეი, ჰეი, ჯიმ! აკი გითხარ, თეთრებისგან თავი შორს გეჭიროს მეთქი. უკადრისი ხალხია ისინი, ჯიმ, ძალიან უკადრისი.

ჯიმი ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ შეეკითხა:

— ძია ჯემს, ნეტავ თეთრკანიანები ყველგან ასეთები არიან?

— არ ვიცი, ჯიმ, არ ვიცი. ზღაპრად კი გამიგონია, რომ არის თურმე ერთი ქვეყანა, სადაც ყველა თანასწორია: თეთრი, შავი, წითელი და ყვითელკანიანი. იქა თურმე ყველა ხალხს ერთნაირი უფლებები აქვს და მდიდარ ღარიბი არ არსებობს. მაგრამ შორს არის ეს ქვეყანა, ძალიან შორს, სადღაც ჩრდილოეთისკენ. სახელიც უცნაური ჰქვიან მას: საბჭოთა კავშირი.

როცა ლოგინში ჩაწვა, ჯიმი დიდხანს ფიქრობდა იმ ქვეყანაზე, საცა ყველა თანასწორია — თეთრი, შავი, წითელი და ყვითელკანიანი. დიდხანს იმეორებდა მის სახელს და ბოლოს გადასწყვიტა, რომ როცა გაიზრდება, უსათუოდ ეძებნის იმ ქვეყანას და საშუალამოდ ის დასახლდება.

ფ. მიქელაძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაკვირვება.

წელს ზაფხულში ქალაქიდან
ჩამოვიდა ცელქი თინა,
პიონერის ტანსაცმელში
შეხეთ ერთი, როგორ ბრწყინავს!..
მთებს და ველებს ფეხით უვლის,
არ იღლება, უყვარს შრომა:
დედას ბოსტნის მარგვლას შველის,
ეჯავრება უქმად ხტომა.
დღეს დილითაც, როგორც მუდამ,
ლოგინიდან ადგა თინა
და ხელ-პირის დასაბანად
ცივ წყაროსთან მიირბინა,
გადახედა არემარეს,
მთას შეხედა, გაუკვირდა:
შარშან აქ ხომ ბაღი გვქონდა
და შიგ ტკბილი მსხლები გვიდგა!?
დღეს ქარხანას აშენებენ
და მუშები ოფლსა ღვრიან,
მაღალი მთის მწვერვალიდან
დაბლობისკენ ლოდებს ჭერიან!
ცელქი თინა პირმცინარე
დღიურისთვის ასრებს იწერს, —
ახალ ქარხნის მშენებლობის
შრომასა და ამბავს იგებს!..

შალვა შაველაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თორმეტი წელი

7 ნოემბერს 12 წელი სრულდება, ძვირფასო ბავშვებო, რაც მუშებმა და ღარიბმა გლეხებმა დაამხეს მეფის, მემამულეების და ბურჟუების ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ბევრი თქვენგანი იმ დროს დაბადებულიც არ ყოფილა, ბევრ თქვენგანს არ განუცდია მდიდრების ბატონობის სიმწვავე და საშინელება: მაშინ მუშები, მშრომელი გლეხები და საერთოდ მშრომელნი უფლებააყრილი იყვნენ და არაადამიანურ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება.

მშრომელმა ხალხმა ველარ მოითმინა ამდენი წვალება და კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის თაოსნობით, რომელსაც მთელი ქვეყნის მუშების და დაჩაგრულების ბელადი, დიდი **ლენინი**, ხელმძღვანელობდა დაამხო მდიდრების და გაიძვერების მთავრობა და დაამყარა მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

ეს მოხდა თორმეტი წლის წინად, თორმეტი წლის წინად მოსკოვსა და ლენინგრადში ზარბაზნების გრიალი იყო. შეიარაღებული მუშები, მეზღვაურები და ჯარისკაცები სადღაც მიეჩქაროდენ. მემამულეების და ფაბრიკანტების მთავრობა უნდა გაერეკათ. წინ წითელი დროშები იყო ლოზუნგებით:

— ძირს ომი! ძირს მდიდრები! მიწა — გლეხებს, ქარხანა-ფაბრიკები — მუშებს!

მთელი დღეები წარმოებდა ბრძოლა. გაიმარჯვეს მუშებმა და ჯარისკაცებმა. ეს მოხდა 1917 წლის 7 ნოემბერს.

დაამხეს მუშებმა მემამულეები და ფაბრიკანტები, დაამყარეს ახალი კანონები. მუშებმა დაადგინეს, რომ მშრომელ ხალხს თვითონ ემართა სახელმწიფო **საბჭოების** საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე დამყარდა საბჭოთა რესპუბლიკა. ლენინი არჩეულ იქნა მუშურ-გლეხური მთავრობის მეთაურად.

მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცებისაგან ამორჩეულებმა დაადგინეს: ჩამოეთვალ მიწა მემამულეებს, ფაბრიკები ბურჟუებს და გადაეცეს მშრომელ ხალხსო.

მას შემდეგ 12 წელმა გაიარა და ყოველი წელი ბრძოლის და გამარჯვების წელია, დღეს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა სოციალიზმს აშენებს.

მაგრამ ჩვენი მტრები არიან დასავლეთ ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიული სახელმწიფოები, ისინი დრეს ელიან, რომ თავს დაგვესხან და გაგვანადგურონ, ამიტომ ჩვენი ამოცანაა:

ვისწავლოთ, ვიმუშაოთ და ვისწავლოთ.

ვიმუშაოთ, ვისწავლოთ და ვიმუშაოთ!

ჩვენ შეურყევლად უნდა ვიდგეთ ოქტომბრის დიდი რევოლუციის საღარაჯოზე.

გაუმარჯოს ოქტომბრის ძლევამოსილ რევოლუციას!

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის შტაბს—ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

ჩველანი გამოდით 7 ნოემბრის დემონსტრაციაზე!

ვ — ო.

სრულიად საკავშირო პიონერთა შეკრება



წელს აგვისტოში ერთვლად შეიკრიბა მთელი ჩვენი კავშირის ნორჩ პიონერთა პირველი ერილობა.

ერილობამ შეამოწმა პიონერების მუშაობა და გზა დაუსახა, როგორ უნდა მუშაონ მომავალში.

ბავშვებმა ერილობაზე ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ შველიან ინვალიდებს, ეხმარებიან დედას ოჯახში, სუფთად ინახავენ ოთახებს, უვლიან პატარებს, ათამაშებენ მათ, აჩვენენ სიმღერებს და წესიერებას, სწერენ ოქტომბრელთა კოლექტივებში და ეხმარებიან სწავლაში.

პიონერები იზიდავენ მშრომელთა შვილებს და უპატრონო ბავშვებს თავის რაზმებში.

სკოლაში ისინი შველიან ჩაძორწყნილ ბავშვებს, აგროვებენ ოჯეულნაირ ნარჩენებს, ქაღალდს, ჩვრებს, რადგანაც ეველაფერი ეს სჭირდება სახელმწიფოს გადასამუშავებლად.

პიონერები სთხოვენ მშობლებს გადაგვიყვანონ თამბაქოს წვეულ და ლოთობას. ქარხნებში და ფაბრიკებში მუშებშიაც სწვევენ ბრძოლას ლოთობისა და ზარმაცობის წინააღმდეგ.

სოფლებში პიონერები ეხმარებიან გლეხებს სასოფლო მუშაობაში, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა მავნებლის—კალიის, თაგვების და სხვათა—წინააღმდეგ ბრძოლაში, თვითონ აგროებენ კოლექტიურად საძაგალითო ბოსტნებს და ურჩევენ გლეხობს იმათაც იმუშაონ ეველამ ერთად, კოლექტიურად.

პიონერები თვალყურს ადევნებენ, რომ მეპატრონეებმა არ დაზაგონ პატარა მოჯამაგირეები, სოფლებში გაჰყავთ ელექტრობა, აწყობენ რადიოს და მართავენ წიგნსაცავ-სამკითხველოებს.

პიონერები, როგორც საბჭოთა ქვეყნის მომავალი დამცველები, სწავლობენ სროლას, საშხედრო წესებს და წესიერებას.

პიონერები აწარმოებენ მიწერ-მოწერას უცხოეთის ბავშვებთან და რჩევას აძლევენ, როგორ უნდა მოაწყონ იმათ თავის ქვეყანაში ახალი ცხოვრება.

ერილობაზე ბავშვებმა — პიონერებმა — ბრძანა დასდვეს, რომ კიდევ უფრო გულმოდგინედ იმუშავებენ ამ გზით.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ცხოვრება უნდა გაუმჯობესდეს და ეს ასეც მოხდება, თუ ეველა იმუშავებს ბეჯითად და პატიოსნად, თუ რაც შეიძლება ჭირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძია გიგოს მასწავლებელი.

იცით ალბათ ყველამ კარგად,
გვეგონება მცოდნე ხალხი,
რომ კლდესავით დავსდგეთ მაგრად
მშენებლობის ყოველ მახილს.

—

ყველამ, ვისაც შეუძლია
და სურს ჩვენი მედგრად წინსვლა,
ყველამ უნდა შეასწავლოს
უცოდინართ წერა-კითხვა.

—

ამას ფიქრობს ახლა ვანო,
იმედი კი უძგერს გულში;
მან რომ ძიას შეასწავლოს
წერა-კითხვა, რა დაუშლის?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, უცებ საუვირებმა
დააბრუნეს ეველა სახლში,
ხედავს, ვანო ძია გიგოს,
გაშავებულს, როგორც ნახშირს.

—

უნდა ვანოს გაუმხილოს
ძიას, რასაც იგი ფიქრობს,
მაგრამ რაღაც მიზეზისგან
ეკრძალება მისი თითქოს.

—

ბოლოს, როგორც იყო, სურვილს
მოუძებნა დასაწყისი,
ძია გიგოც დაეთანხმა,
მოიწონა აზრი მისი.

—

ვანო უკვე პირველ დღიდან
გაკვეთილებს აძლევს ძიას,
და ორივემ, უნდა გითხრათ,
მიაღწიეს მართლა მიზანს.

—

თუ აქამდე ძია გიგო
ანაბანას ვერა სცნობდა,
ახლა გაზეთს კითხულობს და
შეიძინა ბლომად ცოდნა.

ალ. ბილანიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბნელი ძალები.

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა საბჭოთა კავშირის ქალაქ ჩიტას აერთებს ჩინეთის ქალაქ ხარბინთან, გადასჭრის რა მანჯურიას.

ეს გზა მრავალი წლის წინად, ჯერ კიდევ მეფის მთავრობის დროს, აშენდა.

მაგრამ მეფის მთავრობამ ისეთი მძიმე ხელშეკრულება დასდო ჩინეთის ხალხთან, რომ ეს გზა მას ძალიან ცოტა მოგებას აძლევდა.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ მეფის ხელშეკრულება უარჰყო და გზის შემოსავალი საბჭოთა კავშირმა და ჩინეთმა ერთმანეთს შორის თანაბრად გაინაწილეს.

ეს გზა ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას და დიდ მოგებას აძლევს ორივე ქვეყანას. გზას განაგებდენ სანახევროდ საბჭოთა და ჩინეთის მოსამსახურენი.

მაგრამ საბჭოთა მოქალაქეებისათვის და პიონერებისათვის, აღმ.-ჩინ. რკ. გზ. მუშებისა და მოსამსახურეების შვილებისათვის მუდამ ძალიან საძნელო იყო მანჯურიაში ცხოვრება.

მანჯურიაში ცხოვრობენ თეთრგვარდიელები, რომელნიც ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ზიანი მიაყენონ ს. ს. რ. კ.-ს და ამაში მათ ეხმარება მანჯურიის მთავრობა, რომელსაც სათავეში გენერალი ჩან-სუე-ლიანი უდგას. თეთრგვარდიელებმა დააარსეს უაჩალური ბანდები — „შავი რკალი", „ორთავიანი არწივის კავშირი" და სხვა, რომელნიც ყოველნაირად სდევნიან კომკავშირელებს და პიონერებს, მასხრად იგდებენ მათ, სროემენ რეზინის კეტებით, და მთავრობა ამ თეთრგვარდიელებს ფარულად მფარველობს.

მაგრამ მათ ეს არ იკმარეს, ამა წლის 10 ივლისს ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელნი რუს თეთრგვარდიელებთან ერთად თავს დაესხენ ა. ჩ. რკ. გზას, დაატუსაღეს 300 კაცი და ძალით ხელთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიგდეს ტელეგრაფი და მთელი გზა.

ამის გაგებაზე საბჭოთა მუშებმა და მოსამსახურეებმა ასობით ანებეს თავი სამუშაოს, მაგრამ ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელნი მათ ციხეებში ჰყრიდენ, სცემდენ, შიმშილით ჰკლავდენ.

ყველგან დაიწყეს საბჭოთა მოქალაქეების შეპყრობა, მათი ბინების ნგრევა-განადგურება და ქონების ძარცვა-გლეჯა.

რკინის გზაზე კი პირველსავე დღეებში დაიწყო სრული რღვევა, რადგან სამუშაოდ დგებოდა გამოუცდელი ხალხი, რომელიც სრულიად არ იცნობდა საქმეს. წესიერი მიმოსვლა შესწყდა, რამდენჯერმე მატარებლები გადაბრუნდა, საწყობებსა და სადგურებზე ხანძარი გაჩნდა.

ჩინელ ყაჩაღ-ხუნხუზების და თეთრგვარდიელების ბანდებმა დაიწყეს თავდასხმა ჩვენს საზღვარზე, მშვიდობიანი მცხოვრებლების აწიოკება, მათი საქონლის გარეკა.

დაიწყო უკვე ჩინეთის რაზმების გადმოყვანა ა. ჩ. რკ. გზის ხაზისა და ჩვენი საზღვრისაკენ.

როგორც რკინის გზაზე თავდასხმა, ისე ყველა ეს მხეცური ქცევა განზრახულია იმ მიზნით, რომ წააჩხუბონ საბჭოთა კავშირი და ჩინეთი და ომი გამოიწვიონ.

ამ თავდასხმების ამბავმა შესძრა მთელი კავშირის მუშები და გლეხები და გულის სიღრმემდე აღაშფოთა ყველანი.

ქარხნებში, ფაბრიკებში კრებებზე ერთხმად გამოაქვთ მკაცრი დადგენილებები:

— ხელები შორს საბჭოთა კავშირიდან! აბა გაბედონ თეთრმა ბანდებმა ჩვენ კავშირზე დაცემა,— ჩვენ ყველანი, როგორც ერთი ადამიანი, გამოვალთ საბჭოთა კავშირის დასაცავად, და თავგასული ბანდიტები სასტიკად დაისჯებიან...

ივლისის 15 და 16 ა. ჩ. რკ. გზის ხელში ჩაგდების საწინააღმდეგოდ მოსკოვში და მთელ კავშირში იმართებოდა მღელვარე საპროტესტო მანიფესტაციები.

უკვე მოწყობილია შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელი არმია და მისი მეთაურობა დაევალა ამხანაგ ბლიუხერს.

ეს არმია დაგვანახვებს, რომ მშრომელნი მუდამ მზად არიან თავისი სოციალისტური სამშობლოს და მისი უფლებების დასაცავად.

თ. ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩვენი მეურნეობა

უწინდელ დროში, რევოლუციამდე, მხოლოდ ზოგნი ცხოვრობდენ კარგად — მდიდარი ადამიანები. მდიდრებს ჰქონდათ დიდი მამულები, ქარხნები, ფაბრიკები, ლამაზი სახლები.

ამ მდიდრებთან მუშაობდენ მუშები და ღარიბი გლეხები, რომელნიც თავის შრომაში იმდენად ცოტა ფულს იღებდენ, რომ ძლივს-ძლივობით ახერხებდენ თავის გამოკვებას და ჩაცმას.

ყოველი მემამულე, ქარხნის ან ფაბრიკის პატრონი, მხოლოდ თავის თავზე და თავის შემოსავალზე ზრუნავდა. კაპიტალისტები ქარხანას, ფაბრიკას იქ აშენებდენ, სადაც მათის აზრით მეტის მოგება შეეძლოთ.

ყოველი მათგანი იმ ნაწარმოებს ამუშავებდა, რომელზეც დიდი მოთხოვნილება იყო და ამიტომ ხდებოდა, რომ რამდენიმე ფაბრიკა ერთსა და იმავე ნაწარმოებს უშვებდა, რაც იწვევდა ბაზარზე მათ სიჭარბეს. ზედმეტის გასასაღებლად ფაბრიკის პატრონები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ფასების დაკლებაში და ამის გამო მუშებსაც უკლებდენ ჯამაგირს, ანდა ითხოვდენ მათ.

ოთხი წლის ომიანობის განმავლობაში ბევრი ქარხანა-ფაბრიკა დაიხურა, სოფლებში დარჩენილ მოხუცებს, დედაკაცებსა და ბავშებს არ შეეძლოთ თავისი მიწების დამუშავება. ქარხნებში და ფაბრიკებში მანქანები და დაზგები გაცვდა და გამოუსადეგარი გახდა.

ასეთი დანგრეული მეურნეობა ერგოთ მუშებსა და გლეხებს, რომელთაც 1917 წელს ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება.

მაგრამ გენერლებს, ფაბრიკების პატრონებს და მემამულეებს არ უნდოდათ თავისი ნებით ქარხნების ფაბრიკების და მამულების დათმობა მშრომელთათვის, და მათ კვლავ ომი გააჩაღეს. მუშები და გლეხები, იმის მაგიერ, რომ მეურნეობა მოეწესრიგებინათ, უნდა წასულიყვნენ თავის მონაპოვართა დასაცავად.

ამ ხნის განმავლობაში ფაბრიკები, ქარხნები და სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო დაქვეითდა.

მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეს მუშებმა და გლეხებმა მეურნეობის თანდათანობით აღდგენა, რაც გენერლები, ფაბრიკების პატრონები და მემამულეები საბოლოოდ დაარბიეს და გარეკეს.

მაგრამ არც ისე ადვილია ისეთი დიდი ქვეყნის მეურნეობის მოწყობა, როგორც არის ჩვენი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი.

აქ არ შეიძლება ფაბრიკების, ქარხნების, საბჭოთა მეურნეობათა მოწყობა, სადაც კი მოხდება, საჭიროა მთელი მეურნეობის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება გეგმაზე, რომ ეკონომიურად დაიხარჯოს ყველაფერი, რომ მთელი ის ნედლეული, რომელსაც იძლევა საბჭოთა მეურნეობა, სამადნე, მაღაროები და სხვა, ყველაფერი, რასაც კი ფაბრიკები და ქარხნები იძლევა, რამდენადაც შესაძლებელია იაფი დაჯდეს.

გეგმაზევე უნდა წარმოებდეს სხვადასხვა ნაწარმოების დამუშავება, რომ იგი ყველას ეყოს და ამასთანავე არ დარჩეს სადმე ზედმეტი გამოუსადეგარი ნაწარმოები.

კაპიტალისტურ ქვეყნებში წამოწყების პატრონი მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ რაც შეიძლება ბევრი საქონელი გამოიმუშაოს და რაც შეიძლება ჩქარა და დიდი მოგებით გაასაღოს იგი. იქ ხშირი მოვლენაა ნაწარმოებთა სიჭარბე.

ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის მეურნეობაში ხომ უმთავრესად ის მიზანი აქვთ დასახული, რომ ჩქარა და ძალიან გამდიდრდეს კაპიტალისტ-პატრონების პატარა ჯგუფი. ფართო მშენებელი მასების ინტერესები იქ მივიწყებულია.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლება სულ სხვანაირად აწარმოებს თავის მეურნეობას და, თუ არ იქნა გეგმა, მაშინ ყოველთვის გვექნება ერთი ნაწარმოების სიჭარბე, ხოლო მეორის—დანაკლისი. აი რატომ ცდილობს საბჭოთა მთავრობა მთელი ქვეყნის მეურნეობა წესიერად და მკაცრი გეგმის მიხედვით მოეწყოს, რომ ყოველი წარმოება იძლეოდეს უდიდეს მოგებას, რომელიც მეურნეობის განვითარებას მოხმარდება. ყველას ყველაფერი უნდა ეყოს.

საბჭოთა ხელისუფლების მიზანია მშრომელებმა მიიღონ თავისი ნამუშევარი. საბჭოთა ხელისუფლებას ერთნაირად აინტერესებს ყოველი სოფელი, ყოველი ქალაქი, ყოველი რაიონი. მისი მიზანია ქარხნების და ფაბრიკების უზრუნველყოფა საწვავი მასალითა და ნედლეულით, თავის ქვეყანაში მოხერხებული შარაგზებისა და რკინის გზების მოწყობა, ელექტრობის გაყვანა არა მარტო ქალაქებში, არამედ მიყრუებულ სოფლებშიც, ისე, რომ ელექტრობა იძლეოდეს არა მარტო სინათლეს, არამედ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და საწარმოთა მამოძრავებელ ძალასაც; მისი მიზანია დიდ საბჭოთა მეურნეობათა და კოლმეურნეობათა მოწყობა ისე, რომ მასში გაერთიანდეს ყველა წვრილი მეურნეობა. მან მიზნად დაისახა მრავალი ფაბრიკა-ქარხნის აგება იქ, სადაც იმაზე არც კი ოცნებობდენ. გეგმის მიხედვით ზუსტად არის გამოთვლილი და მოცემულია ამოცანები, თუ, მაგალითად, სად და რამდენი ტანისამოსი უნდა დაამზადოს საკერავმა ფაბრიკამ, რომელმა ქალაქ დის ფაბრიკამ და რამდენი ქალალდი უნდა დაამზადოს, სად და რამდენ ფეხსაცმელს დაამზადებენ ფეხსაცმლის ფაბრიკები და სხ. გეგმა იმისთვის არის საჭირო, რომ არ იყოს ზედმეტი დანახარჯი შრომისა და მასალისა.

ცენტრიდან დაშორებულ ბევრ ადგილას ჯერ კიდევ ცოტაა სკოლები, საბავშო ბაღები, თავშესაფრები. ბავშები უპატრონოდ, უსწავლელები იზრდებიან. მთავრობამ გადასწყვიტა გაძლიერებული ტემპით ააშენოს თავშესაფრები, საბავშო ბაღები, სადაც კი ეს მოსახლეობას ესაჭიროება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საქმე მეტად დიდია—უცბად იგი ვერ გაკეთდება. ჯერჯეროობით შემუშავებულია პირველი ხუთი წლის გეგმა. გეგმა ზუსტად არის შედგენილი, უდიდესი საქმეა დასახული და ამ გეგმის მიხედვით ჩანს, რომ ასეთი სამუშაოს შესრულება სავსებით შესაძლებელია.

საჭიროა მხოლოდ ნებისყოფის დიდი დაძაბვა და კეთილსინდისიერი მუშაობა.

საერთო მუშაობაში ბავშებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. თქვენ მხოლოდ თქვენს ჯანმრთელობას თუ გაუფრთხილდებით, თვალყურს ადევნებთ სისუფთავეს, ეს უკვე დახმარება იქნება სახელმწიფოსათვის: თქვენ, ჯანმრთელებს, არ დაგჭირდებათ ექიმი ან საავადმყოფო, ამით შეუმსუბუქებთ სამუშაოს სახელმწიფოს, მას არ მოუხდება თქვენ გამო ხარჯის გაწევა არც ექიმებზე, არც წამლებზე და არც საავადმყოფოებზე.

სწავლა? რაც მეტ ცოდნას შეიძენთ, მით მეტ სარგებლობას მოუტანთ სახელმწიფოს.

ზომიერების და მომჭირნეობის ჩვეულებაც დიდი სარგებლობაა სახელმწიფოსათვის. აი, მაგალითად, თქვენთვის სრულიად საკმარისია ერთი ნაჭერი პურის შეჭმა; მაგრამ ვინმე კიდევ ერთ ნაჭერს აიღებს, მიუხედავად იმისა, რომ მას აღარ შია, ნახევარსაც ვერ შესჭამს და ისე გადააგდებს. ეს სახელმწიფოს ზარალია.

წარმოვიდგინოთ, რომ ყოველ ჩვენგანს მხოლოდ 5 გრამი პური მორჩება. ავიღოთ მთელი კავშირის მცხოვრებთა რაოდენობა—140 მილიონი—და მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ ამ ნამტვრევებისგან შეგროვდება 650 000 კილო. ამას ძლივს-ძლივობით დაიტევს 41 ვაგონი.

ნახეთ, თქვენს გარშემო რამდენი უვარგისი რამ იკარგება ტყუილად. რაიმე სპილენძის მილი, კარის ტარი, ტყვია, ძველი ლურსმანი, ქაღალდი, ძვლები,—ყველაფერი ეს უხმარებლად გდია, ან ნაგვის ყუთში იყრება. ყველა ეს ნაყარ-ნუყარი კი შეიძლება გამოვიყენოთ. ლითონიც, ძვლებიც, ძველი ქაღალდიც, — ყველაფერი საჭიროა ჩვენი მრეწველობისათვის.

მთავარია - ნუ გერიდებათ, რომ ყოველ თქვენგანს მხოლოდ ცოტაოდენის გაკეთება შეუძლია. გახსოვდესთ, რომ ბევრი, ძალიან ბევრი ხალხი სულით და გულით ეტანება ჩვენს მშენებლობას.

აი მაგალითი: ყოველმა ჩვენგანმა რომ მოიტანოს გაზეთის ერთი ნომერი, 140 მილიონი ადამიანი 140 მილიონ ფურცელ ქაღალდს მოიტანს. გაზეთის ყოველი ფურცელი 100 სანტიმეტრს უდრის. ყველა ეს ფურცელი რომ ერთმანეთზე გადავაწებოთ, მივიღებთ 14000 კილომეტრის სიგრძის ქაღალდს.

ეს ისეთი მანძილია, რომ მატარებელი ამ ხაზის გასწვრივ მოგზაურობას გაუჩერებლივ 15 დღეღამეს მოუნდება.

აი რას ნიშნავს, როდესაც ბევრი ხელი ერთ საქმეს ერთად ეწევა, თუმც თითოეული ცალკე ცოტას აკეთებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაპარაკოზს, ლაპარაკოზს.

(გაგრძელება)

დ ე დ ა.

ნოემბრის მოღრუბლული დღე იყო. ადრე დაღამდა. ავტომობილების, ფარნების და მაღაზიების სინათლე უნათებდა გზას ხალხს, რომელიც აჩქარებით მიმოდიოდა ქვაფენილებზე. ცენტრიდან მოშორებულ ქუჩებში მეტი სიწყნარე იყო. აგერ გაისმა ქარხნის საყვირის ხმა, და მუშები გამოვიდენ ქარხნის ჭიშკრიდან. ახალგაზრდობა მიეჩქარებოდა კინოში და კლუბში, ქალები მიეშურებოდენ შინ ან მიდიოდენ საბავშო კერაში ბავშების შინ წასაყვანად.

ქარხნის ორმა მუშა-ქალმა შეუხვია ქუჩიდან დიდ ეზოში, სადაც კარებზე ეწერა „საბავშო ბაღი“.—დაშიცადე, ნინო, ახლავე მოვალ,—სთქვა ერთმა და შევიდა სახლში. მეორე ეზოში ელოდა. წვიმა მოვიდა და ამიტომ უველაფერს მოწყენის ელფერი ედო. ნინო ფანჩატურს ამოეფარა და ამოიოხრა. აგერ ერთი თვე სრულდება, რაც იგი ქარხანაში მუშაობს და ჯერ კიდევ ვერ მიეჩვია ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქს. ჩამოვიდა შორეული სოფლიდან და ხან მოჯამაგირედ დადგა, ხან მოსამსახურედ მუშაობდა. შემთხვევით შეხვდა მაკრინეს და იმან უშოვნა ადგილი ქარხანაში. აგერ მაკრინეც გამოვიდა სახლიდან და თან მხიარული ლოყაწითელი გოგონა მოჰყავს. გოგონა რაღაცას უამბობს დედას შეუწყვეტლივ.

— კარგი, კარგი, რუსიკო, მერე მიამბობ, ჩქარა წავიდეთ, საცაა მამაც მოვა! შენ საით?—ჰკითხა მაკრინემ ნინოს.

— განა არ იცი საით? საერთო საცხოვრებელში, მეტი რა გამეწეობა,—მკვახედ უპასუხა ნინომ.

— იქნებ ჩვენთან წამოხვალ? ჩემ ქმარს ხომ იცნობ; გუშინ ჩამოვიდა კურორტიდან, გაჯანსაღებულა და ასეთი გამხდარა.—ჰირი ნუ დაგიღია,—დაუტატანა გოგონას, რომელიც უეურებდა ორ მოჩხუბარ ბიჭს.

ნინომ დუჯერა მაკრინეს და გაჰყვა მას.

მაკრინეს თავისი ოჯახით ერთი ოთახი ჰქონდა, იატაკი სუფთად იყო გარეცხილი, ფანჯარაზე ეკიდა ფერადი ფარდები, საწოლზე სუფთა საბანი იყო გადაფარებული. კამოდზე არშიანი სუფრა ეფინა და ზედ სარკე და ეუთი იყო. კედელზე წითელი და შავი ქსოვილით მორთული ლენინის სურათი ეკიდა. მაკრინემ ცისფერაბაქურიანი ლამფა გაანათა და ჭურჭელი გადმოაწყო.

— კარგადა ხართ მოწყობილი,—სთქვა ნინომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა გვიშავს რა, კარგადა ვართ; განწყობილებაც კარგი გვაქვს, ამხანაგური, — უპასუხა მაკრინემ. — დაჯექ, ვივახშმოთ.

შემოვიდა ჰეტრე, მაკრინეს ქმარი. შეუდგენ ვახშამს. რუსიკო დიდი ადამიანივით მიირთმევდა წვენს და თან სტუმარს ათვალიერებდა.

— კარგი გოგონა გეავს, — სთქვა ნინომ, — თმები სიმინდის ფუჩეჩს მიუგავს, ჩემი კი შავი იყო, როგორც ცეცანი.

— მოგიკვდა? — ჰკითხა ჰეტრემ.

— მომიკვდა, — ამოიოხრა ნინომ. — სახადმა რომ გადაიარა ჩვენს სოფელში, მაშინ წაიყვანეს. ბევრი ბავში დაიხოცა იმ ზამთარში. მე მერე გავიგე: იმ დროს მე თვითონაც სახადით მძიმე ავადმყოფი ვიყავი. ქმარიც იმ ზამთარში მომიკვდა. ჩემი გადარჩენის იმედიც არავის ჰქონდა. ჩემი გოგონას ამბავი კატომ, სასაფლაოს მოსამსახურის რძალმა, მიამბო. კატოს ეკითხა თავისი სიმისათვის ირინეს შესახებ, სასაფლაოზე ასეთი და ასეთი გოგო ხომ არ გინახავსო. სიმეს უთქვამს: ნამდვილად არ ვიცი, არ დავკვირვებივარ, მაგრამ მგონი ასეთი, როგორც შენ ამბობ, თმახუჭუჭა და გრძელწამწამებიანი გოგონა იყოო.

სწორედ ჩემი ირინეს ნიშნებია, — სთქვა ნინომ და გული ამოუჯდა.

— იქნებ ცოცხალია? — ჩაილაპარაკა ჰეტრემ.

— ცოცხალი რომ დარჩენილიყო, განა კარგია? საცოდავი გოგონა ურუ-მუნჯი მეავდა, — ამოიოხრა ნინომ.

— ურუ-მუნჯი? — გაიკვირვა ჰეტრემ. მე რომ შენს ადგილას ვიყო, მაინც მოვიკითხავდი. მაცალე, ნაცნობი მეავს ერთი სადგურში, იქნებ იმას ასსოვს რამე.

— აბა როგორ დაახსოვნდებოდა ამდენ ხანს, — მიუგო მაკრინემ.

— მაინც ვიკითხავ, იქნებ ცოცხალია შენი გოგონა.

— მერე რა, ცოცხალიც რომ იყოს, — უპასუხა დალვრემილმა ნინომ, მაგრამ ჩაფიქრდა.

ჰეტრეს სიტყვები ღრმად ჩაუჯდა ნინოს გულში და როდესაც დაბრუნდა თავის საერთო საცხოვრებელში, მთელი ღამე თეთრად გაათენა და სულ ფიქრობდა, ფიქრობდა...

სკოლაში.

ერუ-მუნჯ ბავშთა სკოლა-ინტერნატში, რომელიც დიდ ორსართულიან სახლშია მოთავსებული, სამი კვირაა დაუღალავად ემზადებიან წარმოდგენისათვის. წარმოდგენა საჩვენებელი უნდა იყოს. მოთამაშენი ერუ-მუნჯი ბავშები არიან, კერძოდ და ჯგუფებად უნდა სთქვან სალამოზე ლექსები, ჩაატარონ ტანვარჯიშობა. სალამოს მეორე განყოფილება კი იქნება წარმოდგენა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან. დეკორაციები სახელოსნოებში ბავშების ხელითაა გაკეთებული.

მუშაობა დუღს: აწებებენ, ჭრიან, სატავენ, როლებს იმეორებენ. დიდი ოთახი—კლუბი—სავსეა წითელი, ყვითელი, მწვანე ქაღალდების ნაკუწებით. გოგონები და ბიჭუნები თავაუღებლივ მუშაობენ; თუ რამე სჭირდებათ, უმეტეს შემთხვევაში ნიშნებით აგებინებენ ერთმანეთს. ნიშნებით ლაპარაკი უფრო ეხერხებათ, ვიდრე ხმით, მაგრამ მასწავლებელი უშლის.

ჰიონერების ოთახშიც გაცხარებული მუშაობაა. თამაშობენ ჭადრაკს, კითხულობენ ჟურნალებს, წიგნებს; ერთმა თერთმეტი წლის მაღალმა, შავგვრემანმა გოგონამ გაათავა ჭადრაკის თამაში, დახურა ეუთი და გავიდა ოთახიდან. დერეფანში მასწავლებელი შეხვდა.

— ირინე, მასწავლებელი ნორა სად არის?

გოგონა ეურადღებით უცქერდა მასწავლებელს ტუჩებზე, შემდეგ დაბალი, მაგრამ მტკიცე ხმით უთხრა:

— მასწავლებელი ნორა ზედა სართულშია.

— წადი, უთხარი, რომ მას კანცელარიაში ეძახიან.

გოგონამ აირბინა ფართო კიბე. დერეფანში მოწაფეები ირეოდენ. დასვენება იყო. ირინე შევიდა დიდ ოთახში, იქ 10-12 ბავში თამაშობდა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ირინე შევიდა, ბავშებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშისთვის დაენებებინათ თავი და მაღალ-მაღალ ქალს შემოხვედ-ოდენ. ეს იყო სკოლის გამგე, მასწავლებელი ნორა. ბავშები რა-ღაცას უსსნიდენ ნიშნებით. ყველაზე მეტად ღელავდა ერთი ჯორ-ფლიანი წითური გოგონა, ცოტა დაშორებით იდგა რვა წლის გოგონა და მწარედ ტირიდა.

— კატო, მოდი აქ,—დაუძახა მას გამგემ.

კატომ შეხედა გამგეს, თავი დააქნია, მაგრამ ადგილიდან არ დაიძრა. გამგე თვითონ მივიდა მასთან, ხელი მოჭიდა და კარა-დასთან მიიყვანა.

ამ დიდ კარადაში ინახავდენ ბავშები თავის სათამაშოებს და ტანსაცმელეულობასაც, რაც მშობლებს მოჰქონდათ. თითოეულ მოწაფეს თავისი კალათა ჰქონდა.

გამგემ ერთ კალათას თავი ახადა და მიუთითა ბავშს:

— წადი, მოიტანე და აქ ჩადე,—უთხრა მან მტირალს.

ბავში გაწითლდა, უფრო მეტად ატირდა და გავიდა ოთახი-დან. ერთი წამის შემდეგ ისევ შემოვიდა ოთახში, ხელში ეჭირა ჰარკი ნამცხვრებით. ჯორფლიანი გოგო მაშინვე სწვდა ხელში და ჰარკის გამოგლეჯა დააპირა, მაგრამ გამგემ შეაჩერა:

— თვითონ!

ელიკო ეაეაჩოსავით გაწითლდა, ჩადვა მოპარული იმ კალათა-ში, რომელიც ჯორფლიან გოგოს ეკუთვნოდა.

— ასე,—სთქვა გამგემ და თან მკაცრად შეხედა ელიკოს,— არ ვარგა, არ ვარგა, არ ვარგა!

ამ დროს გამგესთან ირინე მივიდა.

— რა გინდა, ირინე?

— თქვენ გკითხულობენ.

— ახლავე ჩამოვალ. წარმოდგენისთვის ყველაფერი მზად არის.

— ყველაფერი,—უპასუხა ირინემ, გარდა მიშას ტანსაცმელისა.

— კარგად იცი როლი?

— დიდი ხანია,—უპასუხა ირინემ და ჩაიცინა. შავმა თვალებ-მა ბრწყინვა დაიწყო, სახე უღიმოდა.

— ოჩარ!—გამგემ ალერსიანად გადაუსვა ირინეს თავზე ხე-ლი და გასწია კანცელარიისაკენ.

(დასასრული იქნება) ნ. ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად არის ჩემი დათუნია?

1. ვასიკოს დათუნია დაეკარგა. ეძებს... იძახის:

— სად არის ჩემი დათუნია?

2. გარბის, იყურება თავის საწოლ ქვეშ.

— არა, აქ არ არის დათუნია. აქ მარტო წუღები აწყვია.

3. გააღო ვასიკომ შკაფი—იქ მხოლოდ ტანისამოსი ჰკიდია.

4. აცოცდა ვასიკო სკამზე. კარადას ათვალიერებს. დათუნია არ არის. კარადაზე წიგნები აწყვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



5. ვასიკო ეცა კამოდს, გამოწია ყუთი, უყურებს — შიგ თეთრეულია ჩალაგებული, დათუნია კი არ არის.



6. ვასიკომ ბუფეტი გააღო, იქაც ჭურჭელი აწყვია, დათუნია არ არის.

7. ვასიკო გაიქცა დერეფანში, შეხედა კაჩხას — პალტოა ზედ ჩამოკიდული, კაჩხის ქვეშ კალოშები აწყვია.

8. სამზარეულოში გაიქცა ვასიკო. იქ კალათაში კარტოფილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



9. სააბაზანო ოთახში შეიხედა. თაროზე კბილის ფხვნილი და კბილის ჩოთქები აწყვია, დათუნია კი არ არის.

10. ისევ მოირბინა ვასიკომ თავის ოთახში, დაიღუნა და თავის პატარა სკამ ქვეშ შეიხედა.

— აი სად ყოფილა ჩემი დათუნია!

მოშლილი ონკანი

— დახეთ ერთი, ონკანიდან
როგორ მორბის ცივი წყალი!
ვერაფერით შევაჩერეთ...
ახ, სად არის ზეინკალი?
— მეც აქა ვარ! — სთქვა ოსტატმა,
მე მოვუგრეხ ონკანს კისერს!
შეაკეთა, და ეს წყალი
წესიერად მოდის ისევ.

ხელი უნდა შევუწყოთ პიონერულ გამოცემათა ტირაჟის გადიდებას. ჩვენდა სამწუხაროდ, პიონერული ჟურნალების ტირაჟი პატარაა.

პიონერი, ოქტომბრელი, მოწაფე — „პიონერის“ და „ოქტომბრელის“ მეგობარი უნდა იყოს და ამ ჟურნალების საქმიანობა ყოველმხრივ უნდა აინტერესებდეს მათ. პიონერი და მოწაფე სისტემატიურად უნდა კითხულობდეს ჟურნალს, და არა შემთხვევით, დროგამოშვებით.

გამოცდილებით ვიცით, რომ ზაფხული **ჩვენი გამოცემების ტირაჟის მტერია.** ეს აიხსნება უმთავრესად საზაფხულო არდადეგებით. ამიტომ ათდღიურის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ტირაჟის ფრონტზე მიღწეული შედეგების შენარჩუნება. ეს უნდა ახსოვდეს ყოველ პიონერს, ყოველ ოქტომბრელს, ყოველ მოწაფეს, რომ ჟურნალი ისევე საჭიროა ზაფხულში, როგორც წლის სხვ› დროს. **ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ათდღიური უნდა გამოიყენონ სამ და ექვსთვიან ხელისმოწერათა შესაკრებად.**

ყოველმა შეგნებულმა პიონერმა და მოწაფემ უნდა მიუთითოს თავის ამხანაგებს, მეზობლებს, შეუკავშირებელი ბავშვების მშობლებს, სკოლის, ბიბლიოთეკების, კლუბების ხელმძღვანელებს, რომ თავისათვის და შშობლებმა კი ბავშვებისათვის შეიძინონ საბავშო ჟურნალები და წიგნები.

ყოველ კოლექტივში საქმიანად, კოლექტიურად გაარჩიეთ ჟურნალები „პიონერი“, „ოქტომბრელი“ და რამდენიმე საბავშო წიგნი, შეაფასეთ მათში მოცემული მასალა და გარეგნული მხარე, აღნიშნეთ ნაკლი, რა განყოფილება არ გაკმაყოფილებსთ, რა არის საჭირო თქვენი ჟურნალის გასაუმჯობესებლად, და წერილობით აცნობეთ „პიონერისა“ და „ოქტომბრელის“ რედაქციას, რაც დიდად დაეხმარება ამ ჟურნალების გაუმჯობესებას.

ათდღიურში პიონერებმა და მოწაფეებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე **სკოლის ბიბლიოთეკის** (განსაკუთრებით პროვინციაში) მუშაობას. დასაფარავი არაა, რომ ჩვენი სკოლების ბიბლიოთეკები ძალზე ძველი წიგნებითაა სავსე, ახალი მკითხველისათვის მავნე წიგნებით, იმ დროს, როდესაც საბჭოთა პიონერულ-საბავშო წიგნი შიგ ელექტრო-სანათურითაა საძებნი.

ჩვენს მოვალეობას შეადგენს გადავათვალიეროთ ეს ბიბლიოთეკები, შევადგინოთ გამოუსადეგარი წიგნების სია და მოვითხოვოთ მათი განდევნა ბიბლიოთეკებიდან; ბიბლიოთეკები უნდა შევავსოთ კარგი ხარისხის პიონერულ-საბავშო წიგნებით.

აი, დაახლოვებით, ის, რაც უნდა გავაკეთოთ ამ ათდღიურში.

ვ—ო

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია: **ვ. ლუარსამიძე, ნინო ნაკაშიძე და მ. ელიჯარაშვილი.**

ტფილისი, ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხანოვის გამზირი, № 91.

მთავარლიტი № 779. შეკვეთა № 1361. ტირაჟი 1300.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1929 წ.

გ ა მ ო ვ ა

საუმაწვილო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ.	„ოქტომბრელი“	ყოველ-თვიური	II წ.
მოზრდილ.	„პ ი ო ნ ე რ ი“	ორკვი-რეული	IV წ.

ხელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით	„ოქტომბრელი“ —	ერთი წლით	— 3 მ. 50 კ.
		ნახევარი წლით	— 2 მ.
	„პ ი ო ნ ე რ ი“ —	ერთი წლით	— 5 მ.
		ნახევარი წლით	— 3 მ.

ცალკე ნომერი	„ოქტომბრელი“	— 35 კაპ.
	„პ ი ო ნ ე რ ი“	— 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე სართული) ახალგაზრდათა სექტორი „ოქტომბრელის“ და „პ ი ო ნ ე რ ი ს“ რედაქციას.